საქართველოს მთავრობის

დადგენილება №261

2022 წლის 23 მაისი

ქ. თბილისი

„სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში (სსმ, №168, 24/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. №2 დანართის („დებულება სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“) მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 პუნქტი:

„15. ნარკოლოგიური საქმიანობის მიმწოდებელი ყველა სტაციონარული დაწესებულება ვალდებულია, 2022 წლის 1 სექტემბრამდე მოიპოვოს ნებართვის დანართი – „ნარკოლოგიური საქმიანობა“.“.

2. №2[1] დანართის („სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები“) „დამატებითი სანებართვო პირობების“ ცხრილს XIII[1] ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის XIII[2] ნაწილი:

„XIII[2]	ნარკოლოგიური საქმიანობის შემთხვევაში სტაციონარს დამატებით უნდა ჰქონდეს	
1	სპეციალურად გამოყოფილი სამარაგო ოთახი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:	<u>შენიშვნა:</u> <u>ა)</u> იმ შემთხვევაში, თუ ერთისა და იმავე დაწესებულების რამდენიმე განყოფილება (მათ შორის, საპროცედურო) განთავსებულია ერთ შენობაში, დასაშვებია, მათ გააჩნდეთ ერთი (საერთო) სამარაგო, საიდანაც თითოეულ განყოფილებაზე სამკურნალო საშუალების გაცემა ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით; ბ) სამარაგოში შესაძლებელია არაუმეტეს 6 თვის სავარაუდო მარაგის შენახვა
1.1	არ აქვს ფანჯრები	
1.2	აქვს კაპიტალური კედლები	
1.3	აქვს რკინის კარები	
1.4	აქვს ადგილობრივი შუქხმოვანი და 24-საათიანი პოლიციასთან დაკავშირებული სიგნალიზაცია	
1.5	უზრუნველყოფილია ვიდეოთვალით, რომლის ჩანაწერი ინახება ერთი თვის განმავლობაში	
2	სამარაგოში უზრუნველყოფილია მასში განთავსებული სამკურნალო საშუალებების	**შენიშვნა:** დაწესებულება სამკურნალო საშუალებით მარაგდება იმპორტირებული სამკურნალო საშუალების შემნახველი იურიდიული პირის ავტორიზებული

	საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის წარმოება, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით	აფთიაქიდან, კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.“.
3	ერთი ან მეტი დაცული პალატა, რომელიც აღჭურვილია გისოსებით	

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**